



გ-04/124-17
19.02.17

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

**OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY**

N 348
13/02/2017

348-1-2-201702131343



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს

ქალბატონ ანა ნაცვილშვილს

ქალბატონო ანა,

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიმდინარე წლის 2 თებერვალს შემოსული თქვენი N გ-04/87-17 წერილის პასუხად გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას. კერძოდ:

- 2017 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის ბიუჯეტი შემცირდა წინა წელთან შედარებით 135 000 ლარით და შეადგინა 1 215 000 ლარი. კერძოდ ა) შემცირდა შრომის ანაზღაურების მუხლი 77 000 ლარით და შეადგინა 700 000 ლარი, ბ) შემცირდა საქონელი და მომსახურების მუხლი 58 000 ლარით და შეადგინა 480 500 ლარი.
- სახელმწიფო მინისტრის აპარატში სახელმწიფო მინისტრის მიერ 2016 წლის 14 დეკემბერს გამოცა მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ ბრძანება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, შესაბამისად ამ ეტაპისთვის ადგილი არ ჰქონია შტატების შემცირებას და სამსახურიდან თანამშრომელთა გათავისუფლებას. დანართის სახით წარმოგიდგენთ ბრძანებას რეორგანიზაციის შესახებ.
- სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით გათავისუფლდა ერთი თანამშრომელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლით, სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით.
- სახელმწიფო მინისტრის აპარატში 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით საჯარო მოხელეებზე კომპენსაცია არ გაცემულა.

პატივისცემით,

ზვიად ზვიადაძე

დეპარტამენტის უფროსი

აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში

ბ რ კ ა ნ ე ბ ა N 107

14/12/2016

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. გაფრთხილებულ იქნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოსამსახურეები სახელმწიფო მინისტრის აპარატში მოსალოდნელი რეორგანიზაციის თაობაზე.
2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მოსალოდნელი რეორგანიზაციის თაობაზე სახელმწიფო მინისტრის აპარატის ყველა მოსამსახურისათვის გაცნობა ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად დაევალოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქეთევან ციხელაშვილი

სახელმწიფო მინისტრი